

პათოფიზიოლოგია

განკუთვნილია სამედიცინო ინსტიტუტების სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

პათოფიზიოლოგია – სამედიცინო სკოლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დისციპლინაა, რომელიც ექიმის მომზადების სისტემის, მისი კლინიკური აზროვნების ფორმირების და მკურნალობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოში მიმდინარე სოციალურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა, განათლების სისტემის რეორგანიზაციის მიზნით განხორციელებულმა ძირეულმა ცვლილებებმა, აგრეთვე პათოფიზიოლოგიის, სტომატოლოგიის და სხვა სამედიცინო და საბუნებისმეტყველო დარგის თანამედროვე მიღწევებმა შეცვალა არსებული შეხედულებები და სწავლების მეთოდების განახლების საჭიროება წარმოიშვა. უმაღლესი პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნილებების საფუძველზე აუცილებელი გახდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი ახალი ტიპის სასწავლო ლიტერატურის შექმნა, რომელიც პათოფიზიოლოგიის კურსის ოპტიმიზაციის პროცესს შეუწყობდა ხელს.

სახელმძღვანელო “პათოფიზიოლოგია” სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. წიგნში განხილულია პათოფიზიოლოგიის მიზანი, კვლევის უახლესი მეთოდები, ნოზოლოგიის, ზოგადი ეტიოლოგიის და პათოგენეზის ძირითადი საკითხები და თანამედროვე შეხედულებები ტიპობრივი პათოლოგიური პროცესების მნიშვნელობაზე, სტომატოლოგიური დაავადებების და სინდრომების დროს.